დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"ფინანასების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
"ფინანსების" სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 7 - 8 ოქტომბერი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
2024 წლის 4 დეკემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მ აბდულ რაუფი, ვიტენბორგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეა კასრაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სანდრო ტაბატაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ კბილაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ხუციშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფინანსები	ფინანსები
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფინანსების მაგისტრი	ფინანსების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0412	0412
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	არ ეხება	არ ეხება
სწავლების ენა	ინგლისური	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

3 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[4]**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე. აღნიშნული კლასტერი შედგება ორი ლოგიკურად დაკავშირებული პროგრამისგან, რომელსაც გააჩნია მსგავსი სტრუქტურა და სილაბუსები და განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ სწავლების ენაში.

პროგრამის სტრუქტურა
- ორივე პროგრამა ახალია და წარდგენილია აკრედიტაციისთვის
- ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი)
- კრედიტების რაოდენობა: 120 კრედიტი (1კრედიტი შეადგენს 25 ასტრონომიულ საათს)
- ძირითადი სასწავლო კურსები: 99 კრედიტი (მათ შორის 30 კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო ნაშრომისთვის)
- არჩევითი საგნები: 21 კრედიტი (მათ შორის 5 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი არჩევითი კომპონენტისთვის)

ძირითადი მახასიათებლები
- ეფუძნება კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS)
- შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით
- ასახავს დარგის თანამედროვე ტენდენციებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას
- დადებითად არის შეფასებული დარგის გარე ექსპერტების მიერ

პროგრამები მიზნად ისახავს კონკრეტული მიზნების მიღწევას და მისაღებ კვალიფიკაციებთან შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობა შემუშავებულია აღნიშნული მიღწევადი კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით, რაც განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამების შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას.

- **აკრედიტაციისვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 7 - 8 ოქტომბერს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, კლასტერში დაჯგუფებული "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით. შეფასება ორიენტირებული იყო ორ პროგრამაზე: "ფინანსების" სამაგისტრო ქართულენოვან და "ფინანსების" სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე. შეფასება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო

[4] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ექსპერტი და მასში ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტები, უმაღლესი განათლების ექსპერტი და სტუდენტი ექსპერტი. შეფასება განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორი წარმომადგენლის მხარდაჭერით.

შეფასების პროცესი იყო ყოვლისმომცველი, მოიცავდა დოკუმენტების განხილვას, წინამოსამზადებელ შეხვედრას და სტრუქტურირებულ ვიზიტს დაწესებულებაში. ექსპერტთა ჯგუფმა შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად ორი დღის განმავლობაში ჩაატარა გასაუბრებები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ასევე ჯგუფმა შეამოწმა უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და რესურსები.

ვიზიტის ძირითადი ასპექტები მოიცავდა:
- "ფინანსების" ორი სამაგისტრო პროგრამის შეფასებას (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი)
- გასაუბრებებს მრავალი დაინტერესებული მხარეების ჯგუფთან
- მატერიალური და ტექნიკური ბაზის შემოწმებას
- მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის განხილვას

ვიზიტს ახასიათებდა თანამშრომლობითი ატმოსფერო და დაწესებულების მხრიდან ეფექტური მართვა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გაუზიარა წინასწარი მიგნებები, რაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები

რეკომენდებულია, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური სწავლის შედეგების შემუშავება იმის უზრუნველსაყოფად, თუ როგორ ფასდება ან იზომება აღნიშნული შედეგები. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პროგრამის ფარგლებში ეფექტურად შეფასდეს სტუდენტების პროგრესი და დასახული შედეგების მიღწევა. (1.2)

რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. კერძოდ, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლით და პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რეკომენდებულია პროგრამებს დაემატოს პრაქტიკა და დარგის ზოგიერთი ძირითადი, სავალდებულო სასწავლო კურსი (დეტალებისთვის იხილეთ 1.4 კომპონენტის აღწერილობა). (1.4)

რეკომენდებულია, პროგრამაში დარგის ძირითადი, სავალდებულო საგნების დამატების შემდეგ, გადაიხედოს პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, რომლებიც განხილულია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის 1.4 კომპონენტის აღწერილობაში. (1.4)

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "ბიზნესის კვლევის მეთოდები" სწავლება წინ უსწრებდეს "ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზის" სწავლებას, რაც სტუდენტს გაუადვილებს აღნიშნული საგნის შესწავლას. (1.4)

სტანდარტი 2 (არ არის წარმოდგენილი)

სტანდარტი 3 (არ არის წარმოდგენილი)

სტანდარტი 4

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები

რეკომენდებულია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე მეტი აკადემიური პერსონალის დაქირავებას ან არსებული პერსონალის როლების კორექტირებას პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. (4.1)

რეკომენდებულია, ხელმძღვანელების უახლესი კვლევითი საქმიანობის და გამოქვეყნებების რეგულარული შეფასების და დოკუმენტირების მიზნით ჩამოყალიბდეს უფრო მკაცრი სისტემა. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ხელმძღვანელების კვლევითი შედეგების ყოველწლიურ მიმოხილვას და მათი შესაბამისობის შეფასებას ფინანსების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებთან მიმართებით. (4,2)

სტანდარტი 5 (არ არის წარმოდგენილი)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კლასტერის საერთო რჩევები:

სტანდარტი 1

სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება მიმდინარე ტენდენციებზე და საჭიროებებზე უფრო კონკრეტული მითითებებით. (1.1)

სასურველია, საერთაშორისო ბიზნესის პერსპექტივების და გლობალური ბაზრის საკითხების უფრო ძლიერად გათვალისწინება, რაც გააუმჯობესებს პროგრამის მიზნების აღნიშნულ ასპექტს. (1.1)

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია სხვადასხვა და მრავალფეროვანი გამოკითხვები, ისინი არ არის ყოვლისმომცველი და სათანადოდ გაანალიზებული. სასურველია, დაინერგოს დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული ურთიერთობის ფორმალური, დოკუმენტირებული პროცესი, მათ შორის ყოველწლიური გამოკითხვების ან ფოკუს ჯგუფების ჩატარება დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და დარგის ექსპერტებთან. აღნიშნული პროცესი მკაფიოდ უნდა აღწერდეს, თუ როგორ ხორციელდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება სწავლის შედეგების და პროგრამის შინაარსის დახვეწაში. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და ახორციელებს სხვადასხვა გამოკითხვას, ისინი არ არის ყოვლისმომცველი. (1.2)

სასურველია პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენის და გადახედვის უფრო მკაცრი მიდგომის ჩამოყალიბება. სასურველია, შემუშავდეს პროგრამების შედარების სისტემური პროცესი ფინანსების მიმართულების წამყვან საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებთან და მათი რეგულარული განახლება ინდუსტრიის ტენდენციების და კურსდამთავრებულების მიღწევების გათვალისწინებით. (1.3)

სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ფინანსების სფეროში ახლად განვითარებული მიმართულებების ინოვაციური კურსები, როგორიცაა ფინტეკი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და ა.შ. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ ფინანსური ინოვაციების და ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციებს. (1.4)

სტანდარტი 2

სასურველია, ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და ხელშეკრულებებში დაზუსტდეს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაც შეეძლება ორგანიზაციას. (2.2)

სასურველია, ფაკულტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია სწავლებასა და კვლევაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების რეგულირების შესახებ. (2.3)

სასურველია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჩაატაროს აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის საწინააღმდეგო პროექტები და კამპანიები, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით. (2.4)

სტანდარტი 3

სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა გაცვლით პროგრამებში სტუდენტების უფრო აქტიურად ჩასართავად. (3.1)

სასურველია, უნივერსიტეტმა გააკონტროლოს ხელმძღვანელების შეფასების პროცესი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ უკუკავშირის ფორმების შევსება და ხელმძღვანელების მიერ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მიღება. (3.2)

სტანდარტი 4

სასურველია, გადაიხედოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის სამუშაო დატვირთვის განაწილება. გასათვალისწინებელია საერთო სამუშაო დატვირთვის შემცირება სწავლების და კვლევითი შედეგების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით მაღალრეიტინგულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით. (4.1)

სასურველია, განხორციელდეს ნაშრომის ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სრული ანალიზი, სტუდენტების რაოდენობის, კვლევითი თემების სირთულის და სხვა აკადემიური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული ანალიზი დაწესებულებას დაეხმარება ხელმძღვანელების შესაფერისი რაოდენობის და ხელმძღვანელობის მოვალეობების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. (4.2)

სასურველია, შემუშავდეს უფრო ყოვლისმომცველი შეფასების სისტემა, რომელიც ერთმანეთთან მკაფიოდ დააკავშირებს შეფასების შედეგებს, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და კარიერულ განვითარებას. (4.3)

სასურველია, შემუშავდეს მკაფიო სისტემა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები პერსონალის დაწინაურებისთვის ან განვითარებისთვის. (4.3)

სასურველია, შემუშავდეს სტრუქტურირებული ტრენინგ პროგრამა პერსონალისთვის ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უნარები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება უმაღლეს განათლებაში. (4.3)

სტანდარტი 5

სასურველია თვითშეფასების პროცესის რეალური ფუნქციონირების და ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები პირდაპირ იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც თვითშეფასების ჯგუფის წევრები. (5.1)

სასურველია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, თვითშეფსების ანგარიშში გაანალიზებული და განხილული იყოს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ანგარიშები. (5.1)

სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფის გამჭვირვალე, ეფექტური და ყოვლისმომცველი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდეს პროცესში, მათ შორის გარე შეფასების შედეგებზე დაფუძნებული დოკუმენტის მომზადებაში. (5.2)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

ინდუსტრიასთან თანამშრომლობები

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სტუდენტების ფინანსურ სექტორთან დაკავშირებაზე. ბიზნეს და ფინანსურ ინდუსტრიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათ შორის პარტნიორობა ისეთ მნიშვნელოვან გარე დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა საბანკო ასოციაცია, საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, საქართველოს სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია და საქართველოს საფონდო ბირჟა.

სწავლების ენა

"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე, რაც ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის და სტუდენტთა ჯგუფებისთვის უზრუნველყოფს სწავლების მრავალფეროვნებას.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად განიხილა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია. ამ შეფასების საფუძველზე, დამხმარე დოკუმენტების და თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის დამატებითი ანალიზი ჩატარდა. ხელახლა იქნა გადამოწმებული ადგილზე ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების ჩანაწერებიც.

ამ გადასინჯული ანალიზის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა მოეხსნა რეკომენდაციები 1.1 და 1.3 სტანდარტებისთვის და განაახლა შესაბამისობის სტატუსი. თუმცა, ჯგუფმა დატოვა ყველა სხვა რეკომენდაცია, ისინი კვლავ ძალაშია და რელევანტური, რადგან დასაბუთებულია დოკუმენტური მტკიცებულებებით, ჯგუფის დისკუსიებითა და იმ სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნებით. ამ კონტექსტში,

---

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ექსპერტთა ჯგუფი პატივისცემით არ ეთანხმება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს.

▪

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[6]
2. კლასტერული შეფასება[7]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული

[6] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[7] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურის და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამები დემონსტრირებს შესაბამისობას პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტის მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები ზოგადად შეესაბამება სწავლის სფეროს და განათლების საფეხურს, სტანდარტის კრიტერიუმების სრულად დასაკმაყოფილებლად არსებობს გასაუმჯობესებელი სფეროები. პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია და ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების სპეციფიკას სამაგისტრო დონეზე. ისინი მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში სხვადასხვა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, ლიდერობის და გადაწყვეტილების მიღების უნარებს. თუმცა, ზოგიერთ მიზანს აკლია სიცხადე და კონკრეტულობა, რაც პოტენციურ საფრთხეს უქმნის მათ მიღწევას და გაზომვას. მაგალითად, პირველი მიზანი: "ამის მისაღწევად, პროგრამა მიზნად ისახავს ფართო და მრავალმხრივ ცოდნაზე და დისციპლინის ცოდნაზე დაფუძნებული კომპეტენციების განვითარებას, სტუდენტისთვის ფინანსების სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის მიწოდებით" - მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს, რა არის "ფართო და მრავალმხრივი ცოდნა", ასევე "ღრმა და სისტემური" უნდა იყოს უფრო კონკრეტული და გაზომვადი.

თვალსაჩინოა პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში მისი ორიენტაციით - მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც შეუძლიათ კომპლექსური ბიზნეს გამოწვევების გადაჭრა. მიუხედავად ამისა, მიზნები უფრო მკაფიოდ უნდა ასახავდეს აღნიშნულ წვლილს, განსაკუთრებით ადგილობრივი და საერთაშორისო გავლენის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ზოგადად შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიას, შესაძლებელია კავშირის გაძლიერება განათლებისადმი ერთიანი მიდგომის საჩვენებლად. გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები, თუმცა სასარგებლო იქნება მიმდინარე ტენდენციების და საჭიროებების კონკრეტული მითითება.

განხილულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, თუმცა გარკვეულწილად ზედაპირულად. საერთაშორისო ბიზნეს პერსპექტივების და გლობალური ბაზრის საკითხების უფრო ძლიერად გათვალისწინება გააძლიერებს მიზნების აღნიშნულ ასპექტს. პროგრამები მოიცავს კლასიკური თეორიის და პრაქტიკის სინთეზს, მათ შორის პრეზენტაციებს, ანალიტიკურ მუშაობას და ჯგუფურ პროექტებს ძირითადი კომპეტენციების განვითარების მიზნით. პროგრამის მიზნები, როგორც ჩანს, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული ყველა პირის მიერ, რაც თვალსაჩინო იყო უნივერსიტეტის სხვადასხვა ჯგუფთან განხორციელებული გასაუბრებების დროს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამის სპეციფიკა

იხილეთ ზემოთ მოცემული ანალიზი, ვინაიდან პროგრამის მიზნები იდენტურია როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და გასაუბრებები;
კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები და სილაბუსები;
კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებული ადამიანური რესურსი;
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ - გვერდი - https://ibsu.edu.ge

რეკომენდაციები -

რჩევები -

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება მიმდინარე ტენდენციებზე და საჭიროებებზე უფრო კონკრეტული მითითებებით.
- სასურველია, საერთაშორისო ბიზნესის პერსპექტივების და გლობალური ბაზრის საკითხების უფრო ძლიერად გათვალისწინება, რაც გააუმჯობესებს პროგრამის მიზნების აღნიშნულ ასპექტს.

შეფასება[8]

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	X	☐	☐	☐

[8] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამა დემონსტრირებს გარკვეულ შესაბამისობას 1.2 კომპონენტის მოთხოვნებთან, ქვემოთ აღნიშნული გამონაკლისებით. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს და დარგობრივ მახასიათებლებს, მოიცავს არსებით ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ. თუმცა, არსებობს გარკვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებს დამატებით ყურადღებას და გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიზნად ისახავს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური სწავლის შედეგების განვითარებას, თვითშეფასების ანგარიშში და შესაბამის დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციას აკლია კონკრეტული მაგალითები ან მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული შედეგების შეფასება ან გაზომვა. აღნიშნული ასევე გამოვლინდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებების დროსაც. აღნიშნული ხარვეზი წარმოშობს გარკვეულ შეშფოთებას პროგრამის ფარგლებში სტუდენტების პროგრესის და დასახული შედეგების მიღწევის ეფექტურ შეფასებასთან დაკავშირებით.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამის კვალიფიკაციის დონეს, დარგობრივ აღმწერებს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოზე დაფუძნებულ შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებების დროს აღინიშნა და განიმარტა სწავლის შედეგების შემუშავების თანამშრომლობით პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. პროგრამის აღწერა იძლევა დეტალურ ინფორმაციას აღნიშნული ჩართულობის სიხშირის და სიღრმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში გაცხადებულია დასაქმების მოთხოვნებთან შესაბამისობა და კურსდამთავრებულებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობის მიცემა, შეზღუდულია კონკრეტული მონაცემები ან მაგალითები, რომლებიც გაამყარებდა აღნიშნულ განცხადებას. სხვადასხვა გასაუბრების, მათ შორის დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, განიმარტა პროგრამის ეფექტურობა შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების და სტუდენტების შემდგომი აკადემიური საქმიანობისთვის მომზადების მიმართულებით. ზოგადად, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი იყო წარმოდგენილი ინფორმაციით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

იხილეთ ზემოთ პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი, ვინაიდან სწავლის შედეგები იდენტურია როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამებში. ზოგადად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულებზე დასაქმების მოთხოვნებს და კურსდამთავრებულს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ისინი დაჯგუფებულია კლასტერებად, რომლებიც თანმიმდევრულია შინაარსის და სირთულის თვალსაზრისით და ვითარდება შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და გასაუბრებები;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამების დანართები;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამების მსგავს პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- გარე ექსპერტების დასკვნა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ - გვერდი - https://ibsu.edu.ge

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური სწავლის შედეგების შემუშავება იმის უზრუნველსაყოფად, თუ როგორ ფასდება ან იზომება აღნიშნული შედეგები. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პროგრამის ფარგლებში ეფექტურად შეფასდეს სტუდენტების პროგრესი და დასახული შედეგების მიღწევა.

კლასტერის საერთო რჩევები:

- მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია სხვადასხვა და მრავალფეროვანი გამოკითხვები, ისინი არ არის ყოვლისმომცველი და სათანადოდ გაანალიზებული. სასურველია, დაინერგოს დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული ურთიერთობის ფორმალური, დოკუმენტირებული პროცესი, მათ შორის ყოველწლიური გამოკითხვების ან ფოკუს ჯგუფების ჩატარება დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და დარგის ექსპერტებთან. აღნიშნული პროცესი მკაფიოდ უნდა აღწერდეს, თუ როგორ ხორციელდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება სწავლის შედეგების და პროგრამის შინაარსის დახვეწაში. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და ახორციელებს სხვადასხვა გამოკითხვას, ისინი არ არის ყოვლისმომცველი.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამები დემონსტრირებს სწავლის შედეგების შეფასებისადმი სტრუქტურირებულ მიდგომას, თუმცა არის გარკვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და შემდგომ განვითარებას. პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების მკაფიო მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის კურსების შეფასებებს, სტუდენტებს და ნაშრომების დაცვებს სტუდენტების მიღწევების გასაზომად. ნახსენებია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და აღნიშნული, როგორც ჩანს, ეფექტურია პროგრამის აღწერილობაში მოცემული ინფორმაციის თანახმად. ზოგადად, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უსდ დაინტერესებულ მხარეებს აცნობს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. შესაძლებელია აღნიშნული ასპექტის გაძლიერება პროგრამის ეფექტურობის უფრო ყოვლისმომცველი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ინდუსტრიის საჭიროებები და მოლოდინები.

პროგრამებში შემუშავებულია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, რაც საგულისხმოა. გარდა ამისა, პროგრამის აღწერილობაში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება სამიზნე ნიშნულები ან როგორ შეესაბამება ისინი ბიზნესის განათლების საერთაშორისო სტანდარტებს, კონკრეტულად ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კონტექტსში. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა ეფექტურად პასუხობს 1.3 კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებს სწავლის შედეგების შეფასებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომით. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდს, აღჭურავს მათ საჭირო ინსტრუმენტებით და ცოდნით სტუდენტების პროგრესის ზუსტად გასაზომად. გარდა ამისა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სთავაზობს მიმდინარე მხარდაჭერას და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს იმისათვის, რომ დაეხმაროს პერსონალს სწავლის შედეგების განვითარებაში, გაზომვაში და ანალიზის უნარების გაუმჯობესებაში, რაც ხელს უწყობს განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების კულტურას. აღნიშნული დადასტურდა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და გასაუბრებები;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების მომზადებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დაწესებულების ვებ - გვერდი - https://ibsu.edu.ge

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

-

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენის და გადახედვის უფრო მკაცრი მიდგომის ჩამოყალიბება. სასურველია, შემუშავდეს პროგრამების შედარების სისტემური პროცესი ფინანსების მიმართულების წამყვან საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებთან და მათი რეგულარული განახლება ინდუსტრიის ტენდენციების და კურსდამთავრებულების მიღწევების გათვალისწინებით.

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციების შესაბამისად. პროცესში აკადემიური პერსონალის, ბიზნესის სკოლის დეკანატის და საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დამსაქმებლების და სტუდენტების ჩართულობა

ადასტურებს ყოვლისმომცველ და თანამშრომლობით მიდგომას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამები აკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს.

სამაგისტრო პროგრამები შედგება 120 კრედიტისგან და მოიცავს 4 აკადემიურ სემესტრს, რაც შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს (მაგისტრატურა). პროგრამის მოცულობა, შინაარსი და სირთულე უზრუნველყოფს შესაბამისობას აღნიშნული საგანმანათლებლო დონის მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. სამაგისტრო პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს ევროპულ საგანმანათლებლო ჩარჩოებში სტანდარტიზაციას და აღიარებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მობილობას და კრედიტების ტრანსფერს.

პროგრამების სასწავლო კურსების დატვირთვა განაწილებულია ისე, რომ სტუდენტმა ეტაპობრივად შეიძინოს ღრმა დარგობრივი ცოდნა. პროგრამები უმეტესწილად სტრუქტურირებულია ისე, რომ უზრუნველყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა უმეტესწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ასახავს კვალიფიკაციის სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამების სტრუქტურა უმეტესწილად ლოგიკური და თანმიმდევრულია. სწავლების და კვლევის კომპონენტები, მათ შორის ინდივიდუალური კურსები, უმეტესწილად ორგანიზებული და განვითარებულია თანმიმდევრულად, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესს. პროგრამის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით ადკვატურად არის განსაზღვრული შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები. თუმცა, პროგრამებში არ არის წარმოდგენილი დარგის ზოგიერთი ძირითადი სასწავლო კურსი, მათ შორის პროფესიული პრაქტიკა.

პროგრამები მოიცავს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. პროგრამების შინაარსი უმეტესწილად ეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, რომლებიც შეესაბამება სწავლის სფეროს და პროგრამის დონეს. აღნიშნული მიდგომა სტუდენტებს ამზადებს გლობალური გამოწვევებისთვის და შესაძლებლობებისთვის. პროგრამების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აკრედიტებული პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და დაინტერესებული მხარეებისთვის გამარტივებულ წვდომას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი))

"ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს და მაგისტრის ხარისხს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უმეტესწილად შეესაბამება "ფინანსების მაგისტრის" კვალიფიკაციის მოთხოვნებს. აღნიშნული კვალიფიკაცია მეტწილად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 120 კრედიტის დასრულების შემთხვევაში.

პროგრამა შედგება სასწავლო (90 კრედიტი - საიდანაც 69 კრედიტი გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის და 21 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსებისთვის (სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს 5 კრედიტის მოცულობის თავისუფალი კომპონენტი უნივერსიტეტის ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებიდან, შესაბამისი წინაპირობების დაცვით)) და კვლევითი (30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა) კომპონენტებისგან.

პროგრამის სტრუქტურა მეტწილად ლოგიკურად არის ორგანიზებული სისტემტიურად განვითარებული სასწავლო კომპონენტებით, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესს. შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები უმეტესწილად სწორად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობას და შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით: კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებისთვის არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკას. ის შეტანილია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში და მისთვის გათვალისწინებულია 5 კრედიტი. "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს პროფესიულ პრაქტიკას როგორც სავალდებულო კურსს, იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივ მახასიათებელს (რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებლებს). ფინანსების დარგობრივი მახასიათებელი ადგენს, რომ ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი უნდა იყოს მინიმუმ 5 (ECTS) კრედიტი. გასაუბრების დროს დამსაქმებლებმაც აღნიშნეს, რომ მეტი პრაქტიკული უნარების განვითარება უკეთესი იქნებოდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთის.
- ღრმა და სისტემური, ფინანსებთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების და ფინანსების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსების სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს დარგის რამდენიმე ძირითად, სავალდებულო სასწავლო კურსს, რომელიც სტუდენტს მისცემს ფინანსური სისტემის, ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების შესახებ ღრმა ცოდნას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში ერთი ან ორი თემის სწავლება არ არის საკმარისი. შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი სასწავლო კურსები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტი სიღრმისეულად შეისწავლის საბანკო სისტემის, სადაზღვევო კომპანიების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების საქმიანობას. არჩევითი საგნების კომპონენტიდან შესაძლებელია ზოგიერთი სასწავლო კურსის გადატანა სავალდებულო საგნების კომპონენტში (მაგალითად, საბანკო მენეჯმენტი და ფინანსური რეგულაციები).
- პროგრამას აკლია ფინანსების განვითარებადი სფეროს ინოვაციური კურსები, როგორიცაა ფინტეკი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და ა.შ. სასურველია ასეთი სასწავლო კურსების დამატება თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ ფინანსური ინოვაციის და ტექნოლოგიურ ტენდენციებს.
- სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე, რეკომენდებულია "ბიზნესის კვლევის მეთოდები" ისწავლებოდეს "ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზის" კურსის სწავლებამდე, რაც სტუდენტს გაუადვილებს აღნიშნული საგნის შესწავლას.

პროგრამის სტრუქტურის ზემოაღნიშნული ცვლილებები მარტივად შეიძლება განხორციელდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის კრედიტების შეცვლით (შემცირებით).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი))

"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს და მაგისტრის ხარისხს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უმეტესწილად შეესაბამება "ფინანსების მაგისტრის" კვალიფიკაციის მოთხოვნებს. აღნიშნული კვალიფიკაცია მეტწილად შეესაბამება პროგრამის შინაარსს

და სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 120 კრედიტის დასრულების შემთხვევაში.

პროგრამა შედგება სასწავლო (90 კრედიტი - საიდანაც 69 კრედიტი გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის და 21 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსებისთვის (სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს 5 კრედიტის მოცულობის თავისუფალი კომპონენტი უნივერსიტეტის ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებიდან შესაბამისი წინაპირობების დაცვით)) და კვლევითი (30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა) კომპონენტებისგან.

პროგრამის სტრუქტურა მეტწილად ლოგიკურად არის ორგანიზებული სისტემატიურად განვითარებული სასწავლო კომპონენტებით, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესს. შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები უმეტესწილად სწორად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობას და შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით, კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებისთვის არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკას. ის შეტანილია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში და მისთვის გათვალისწინებულია 5 კრედიტი. "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს პროფესიულ პრაქტიკას როგორც სავალდებულო კურსს, იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივ მახასიათებელს (რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებლებს). ფინანსების დარგობრივი მახასიათებელი ადგენს, რომ ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი უნდა იყოს მინიმუმ 5 (ECTS) კრედიტი. გასაუბრების დროს დამსაქმებლებმაც აღნიშნეს, რომ მეტი პრაქტიკული უნარების განვითარება უკეთესი იქნებოდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთის.
- ღრმა და სისტემური, ფინანსებთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების და ფინანსების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსების სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს დარგის რამდენიმე ძირითად, სავალდებულო სასწავლო კურსს, რომელიც სტუდენტს მისცემს ფინანსური სისტემის, ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების შესახებ ღრმა ცოდნას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში ერთი ან ორი თემის სწავლება არ არის საკმარისი. შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი სასწავლო კურსები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტი სიღრმისეულად შეისწავლის საბანკო სისტემის, სადაზღვევო კომპანიების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების საქმიანობას. არჩევითი საგნების კომპონენტიდან შესაძლებელია ზოგიერთი სასწავლო კურსის გადატანა სავალდებულო საგნების კომპონენტში (მაგალითად, საბანკო მენეჯმენტი და ფინანსური რეგულაციები).
- პროგრამას აკლია ფინანსების განვითარებადი სფეროს ინოვაციური კურსები, როგორიცაა ფინტეკი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და ა.შ. სასურველია ასეთი სასწავლო კურსების დამატება თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში. აღნიშნული, პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ ფინანსური ინოვაციის და ტექნოლოგიურ ტენდენციებს.
- სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე, რეკომენდებულია "ბიზნესის კვლევის მეთოდები" ისწავლებოდეს "ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზის" კურსის სწავლებამდე, რაც სტუდენტს გაუადვილებს აღნიშნული საგნის შესწავლას.

პროგრამის სტრუქტურის ზემოაღნიშნული ცვლილებები მარტივად შეიძლება განხორციელდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის კრედიტების შეცვლით (შემცირებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. კერძოდ, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლით და პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რეკომენდებულია პროგრამებს დაემატოს პრაქტიკა და დარგის ზოგიერთი ძირითადი, სავალდებულო სასწავლო კურსი (დეტალებისთვის იხილეთ 1.4 კომპონენტის აღწერილობა).
- რეკომენდებულია, პროგრამაში დარგის ძირითადი, სავალდებულო საგნების დამატების შემდეგ, გადაიხედოს პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, რომლებიც განხილულია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის 1.4 კომპონენტის აღწერილობაში.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის "ბიზნესის კვლევის მეთოდები" სწავლება წინ უსწრებდეს "ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზის" სწავლებას, რაც სტუდენტს გაუადვილებს აღნიშნული საგნის შესწავლას.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ფინანსების სფეროში ახლად განვითარებული მიმართულებების ინოვაციური კურსები, როგორიცაა ფინტეკი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და ა.შ. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ ფინანსური ინოვაციების და ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო	☐	X	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)				
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსებში წარმოდგენილია სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემები, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. საგნების კრედიტების დატვირთვა განსხვავდება საგნის სრული დატვირთვის მიხედვით. საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლების განაწილება ძირითადად რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა/კვლევითი მუშაობა) საკმარისია სტუდენტების სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი და დამატებითი მასალები ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. ხორციელდება სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეულ სასწავლო კურსში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი))

"ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის საგნების კრედიტების დატვირთვა მერყეობს 5 - დან 10 კრედიტამდე, საგნის სრული დატვირთვის გათვალისწინებით. თუმცა, თითქმის ყველა სავალდებულო საგნის სილაბუსით გათვალისწინებულია 8 კრედიტი, ხოლო არჩევითი საგნებისთვის 5 - 6 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომისთვის გათვალისწინებულია 30 კრედიტი. საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლების განაწილება ძირითადად რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი / ჯგუფური მუშაობა / პრაქტიკული მუშაობა) ძირითადად საკმარისია სტუდენტების სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა წარმოდგენილია სილაბუსებში. საგანმანათლებლო

პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ხორციელდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი და დამატებითი მასალები ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი))

"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამის საგნების კრედიტების დატვირთვა მერყეობს 5 - დან 10 კრედიტამდე, საგნის სრული დატვირთვის გათვალისწინებით. თუმცა, თითქმის ყველა სავალდებულო საგნის სილაბუსით გათვალისწინებულია 8 კრედიტი, ხოლო არჩევითი საგნებისთვის 5 - 6 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომისთვის გათვალისწინებულია 30 კრედიტი. საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლების განაწილება ძირითადად რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი / ჯგუფური მუშაობა / პრაქტიკული მუშაობა) ძირითადად საკმარისია სტუდენტების სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა წარმოდგენილია სილაბუსებში. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ხორციელდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი და დამატებითი მასალები ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების დოკუმენტაცია და სილაბუსები;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☐	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს ისეთი პირების მიღებას, რომელთაც აქვთ საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები პროგრამის დასრულებისთვის. პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შედეგებთან, საგანმანათლებლო შინაარსთან, საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან კოორდინაციით, განსაზღვრავს პროგრამაზე დასაშვები სტუდენტების რაოდენობას. ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, ინგლისურენოვანი

ფინანსების ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად პირს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, წარმატებით უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდები და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა (წერითი ფორმით) და ასევე ინგლისურ ენაში B2 დონეზე.

პირი ასევე შეიძლება ჩაირიცხოს ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის პროცედურით, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით. გარდა ამისა, მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გარძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებისა და წესების შესაბამისად. კანდიდატი გათავისუფლებულია ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდიდან, თუ წარმოადგენს საერთაშორისო სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნას, ანდა დიპლომს, რომელიც ადასტურებს ინგლისურენოვანი აკადემიური პროგრამის დამთავრებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, ქართულენოვანი

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად პირს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, წარმატებით უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდები და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა (წერითი ფორმით) და ასევე ინგლისურ ენაში B2 დონეზე. პირი ასევე შეიძლება ჩაირიცხოს ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის პროცედურით, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით. გარდა ამისა, მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გარძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებისა და წესების შესაბამისად.

კანდიდატი გათავისუფლებულია ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდიდან, თუ წარმოადგენს საერთაშორისო სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის B2 დონის

ცოდნას, ანდა დიპლომს, რომელიც ადასტურებს ინგლისურენოვანი აკადემიური პროგრამის დამთავრებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტი
- იბსუს ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐

პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართულობას პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. უნივერსიტეტი სტუდენტებს პროფესიული განვითარებისთვის რამდენიმე შესაძლებლობას სთავაზობს. მათი პრაქტიკული უნარების განვითარების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყველა მემორანდუმი და ხელშეკრულება არ განსაზღვრავს მისაღებ სტუდენტთა ზუსტ რაოდენობას. ადგილზე ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ ზოგიერთი კომპანია არ არის თანახმა, რომ ხელშეკრულებებში მიუთითოს მისაღებ სტუდენტთა ზუსტი რაოდენობა. ვიზიტის დროს ასევე აღინიშნა, რომ პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტებს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის აქტივობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებისთვის სავალდებულო პრაქტიკას არ ითვალისწინებს. პრაქტიკა შედის პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში და მისითვის განსაზღვრულია 5 კრედიტი.

პრაქტიკული, ტრანსფერული და სამეცნიერო უნარების განვითარების მიზნით, სტუდენტებს სთავაზობენ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. მაგალითად, IBSU-ის მიერ ჩატარებული ბოლო საერთაშორისო კონფერენცია იყო „მესამე მულტიდისციპლინური საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია," რომელიც გაიმართა 2024 წლის ივნისში. სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარების მხარდასაჭერად IBSU სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას, გამოაქვეყნონ თავიანთი სტატიები უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ჟურნალებში, რომელთა ნახვაც შესაძლებელია ვებგვერდზე: https://ibsu.edu.ge/ge/scientific-journal/.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტი
- იბსუს ვებგვერდი
- მემორანდუმები სტაჟირების განსახორციელებელ ორგანიზაციებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და ხელშეკრულებებში დაზუსტდეს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაც შეეძლება ორგანიზაციას.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლებასა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ლექციები, სემინარები, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები, პრეზენტაცია, დედუქცია, ქეისების შესწავლა/სიტუაციური ანალიზი, დისკუსია/დებატები, დემონსტრაცია, სწავლა ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით, სწავლა ინტერნეტისა და მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით, ახსნის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა და წყვილებში მუშაობა. ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი იყენებს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის ქეისებს, რომლებიც სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება. აღნიშნული მეთოდები ადაპტირებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

ზოგიერთ შემთხვევაში, სასარგებლო იქნება სტუდენტებს ასწავლონ, თუ როგორ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები ეფექტურად თავიანთ სწავლებასა და კვლევებში, რათა შეძლონ ამ თანამედროვე ტექნოლოგიის ეფექტურად გამოყენება. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მისი გამოყენება შეზღუდული უნდა იყოს, რათა დაცული იყოს სტუდენტური ნაშრომების ორიგინალურობა. საერთო ჯამში, სასურველია, რომ ფაკულტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია იმის შესახებ, თუ როგორ იქნება დარეგულირებული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება სწავლება-სწავლის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, ფაკულტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია სწავლებასა და კვლევაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების რეგულირების შესახებ.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტების ანალიზმა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა გასაუბრებებმა აჩვენა, რომ იბსუ-ს სტუდენტების შეფასება დაწესებულებაში მიღებული წესებით ხორციელდება. აღნიშნული წესები სამართლიანია და ეფუძნება გამჭვირვალობისა და სანდოობის პრინციპებს. გარდა ამისა, კურსების შეფასების სისტემა დამყარებულია საქართველოს კანონმდებლობაზე, რაც კიდევ უფრო ამყარებს სისტემის სამართლიანობას.

სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თითოეული სილაბუსის შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დეტალურადაა გაწერილი და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით დადგენილ სტანდარტებს. ასევე, თითოეულ შემთხვევაში შენარჩუნებულია

სწავლების ლოგიკა. კერძოდ, შეფასება ორიენტირებულია ისეთი სწავლის შედეგების მიღწევაზე, რომელიც შეესაბამება კონკრეტული კურსის მიზნებს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ შეფასების სისტემა და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი, გამჭვირვალეა და სამართლიანი. როგორც გასაუბრებებმა დაადასტურა, აღნიშნული გამჭვირვალობა აძლიერებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნდობას. ასევე, გაირკვა, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს კურსის სწავლის შედეგებზე, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აგრეთვე განხილული იყო სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესი. გასაუბრების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მისი დასრულების შემდეგ, რაც შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას კვლევითი კომპონენტის შეფასების შესახებ. იბსუ-ს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პოლიტიკაში გაწერილია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური სტილის სახელმძღვანელო პრინციპები, თუმცა ზოგიერთი სტუდენტი და კურსდამთავრებული აღნიშნულ საკითხზე დამატებით ინფორმაციას საჭიროებდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იბსუ-ს გააჩნია აპელაციის სამართლიანი და თანმიმდევრული პროცედურა, რომელიც ვრცელდება როგორც სასწავლო ისე კვლევით კომპონენტებზე. გასაუბრებიდან ცხადი გახდა, რომ აღნიშნული პროცესი გამჭვირვალეა და, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს შეფასების შედეგების ცვლილებას. მოწოდებული ინფორმაცია გადამოწმდა აკადემიურ და მიწვეულ პერსონალისთან, რომელთა პასუხებიც დაემთხვა უნივერსიტეტის მიერ გაწერილ რეგულაციებს.

როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების დროს დადგინდა და დამატებითი დოკუმენტაციით დადასტურდა, იბსუ აანალიზებს შეფასების შედეგებს, რომლებიც ეფუძნება აკადემიური მოსწრების ანალიზს და მას იყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების დროს დადგინდა და დოკუმენტაცით დადასტურდა, რომ იბსუ აანალიზებს შეფასების შედეგებს, რომლებიც ეფუძნება აკადემიური მოსწრების ანალიზს და იყენებს მას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას;
- მაგისტრის ნაშრომის შეფასებისა და დაცვის რეგულაციები;
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, ასეთი აქტივობის განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- იბსუ-ს ვებგვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჩაატაროს აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის საწინააღმდეგო პროექტები და კამპანიები, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო	☒	☐	☐	☐

პროგრამა, ინგლისურენოვანი)				
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტები იღებენ მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშრებულ საკითხებზე. აღნიშნული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

სტუდენტური სერვისების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდება დეტალური ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ასევე სტუდენტური ცხოვრების სხვადასხვა აქტივობასთან დაკავშირებით. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და სხვა აქტივობების შესახებ. როგორც გასაუბრების შედეგად დადგინდა, იბსუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში.

უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის სტუდენტებს გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ელფოსტის საშუალებით, თუმცა გასაუბრებების დროს სტუდენტები აფიქსირებდნენ ამ შესაძლებლობების მიმართ ინტერესის ნაკლებობას, ანდა აცხადებნენ, რომ არ მიუღიათ მათში მონაწილეობა. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა სტუდენტების გაცვლით პროგრამებში უფრო აქტიურად ჩართვის მიზნით. ისეთი ინიციატივების განხორციელება, როგორიცაა

საინფორმაციო სესიების ორგანიზება, წინა მონაწილეთა გამოცდილებების გაზიარება და გამოწვევების გადალახვაში დახმარების შეთავაზება, ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩართულობის ზრდას და გაზრდის ამ შესაძლებლობების ოპტიმალურად გამოყენების მოტივაციას.

იბსუს კარგი ურთიერთობა აქვს დამსაქმებლებთან, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, რათა, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტთა დასაქმებას შეეწყოს ხელი. სტუდენტები ასევე იღებენ ინფორმაციას ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე უნივერსიტეტის ელფოსტის მეშვეობით. სტუდენტებს აქვთ ორი სახის სასწავლო პორტალი, სადაც იღებენ მნიშვნელოვან შეტყობინებებს, ჩამოტვირთავენ სასწავლო მასალებს, წერენ განაცხადებს და კომუნიკაციას ამყარებენ ლექტორებთან. აღსანიშნავია, რომ პორტალი ხელმისაწვდომია ორივე ენაზე – ინგლისურად და ქართულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- ინფორმაცია სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა გაცვლით პროგრამებში სტუდენტების უფრო აქტიურად ჩასართავად.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იბსუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში ჩართული პირები ფლობენ შესაბამის აკადემიურ და სამეცნიერო გამოცდილებას. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტები თავიანთი ხელმძღვანელებისგან იღებენ შესაბამის კონსულტაციებს მათთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე. სამაგისტრო სტუდენტებსა და ნაშრომის ხელმძღვანელებს შორის შეხვედრები, როგორც წესი, ყოველკვირეულად ტარდება, თუმცა, როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კონსულტაციებიც ინიშნება.

იბსუ-ში ხელმძღვანელები ეფექტურ გზამკვლევობას უწევენ სტუდენტებს ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორიცაა კვლევის დიზაინი, პროექტების მართვა და კვლევის მეთოდოლოგია. გარდა ამისა, ისინი აქტიურად უწყობენ ხელს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას და ეხმარებიან სამაგისტრო ნაშრომების, სამეცნიერო კვლევების ან დისერტაციების მომზადებისა და წერის პროცესში. იბსუ ასევე ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებში, და ამისთვის ახალისებს და მხარს უჭერს სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და კვლევითი შედეგების წარდგენას. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს სამეცნიერო ნაშრომების ჟურნალებში გამოქვეყნებას.

იბსუ-მ შეიმუშავა მეთოდოლოგია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობის განსაზღვრისთვის, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ ხელმძღვანელობას. იბსუ-ს ასევე

შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები. თუმცა, გასაუბრებების დროს ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მათგანი არ იყო ინფორმირებული შეფასების პროცესის შესახებ და არ მიუღიათ უკუკავშირი შეფასების შედეგებზე. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელების შეფასების პროცესს, რათა უზრუნველყოს, რომ სტუდენტები ავსებდნენ უკუკავშირის ფორმებს და ხელმძღვანელები იღებდნენ როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებებს.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, ინგლისურენოვანი)[9]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**20**
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**N/A**
მაგისტრანტების რაოდენობა	**2-0**
//დოქტორანტების რაოდენობა	**N/A**
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	**¼**
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	**N/A**
მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, ქართულენოვანი)[10]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**11**
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**N/A**
მაგისტრანტების რაოდენობა	**N/A**

[9] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[10] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

//დოქტორანტების რაოდენობა	11
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	¼
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	N/A

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გასაუბრებები ნაშრომის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ხარისხის შეფასების მექანიზმი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტმა გააკონტროლოს ხელმძღვანელების შეფასების პროცესი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ უკუკავშირის ფორმების შევსება და ხელმძღვანელების მიერ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მიღება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იბსუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის კითხვებზე პასუხების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამა მოწოდებულია შეინარჩუნოს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. პროფესორ-მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას და გამოცდილებას თავიანთ დარგებში, რაც დადასტურებულია

მათი სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული პროექტებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. თუმცა, არსებობს გარკვეული შეშფოთება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსთან დაკავშირებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სრული სამუშაო დატვირთვა, (მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის), მაღალი ჩანს. ამან შეიძლება გავლენა იქონიოს სწავლებისა და კვლევის ხარისხზე. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო საკმარისი დრო სტუდენტებთან კონსულტაციებისთვის და ამ მიმართულებით გათვალისწინებულია სამუშაო საათები აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისათვის. თუმცა, აუცილებელია გადაიხედოს აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ჰყავდეს აფილირებული აკადემიური პერსონალის საკმარისი პროცენტული წილი, რომლებიც მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებული უნივერსიტეტთან, ამ ორი სამაგისტრო პროგრამის მდგრადობის უზრუნვესაყოფად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, როგორც ჩანს, საკმარისია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით. პროგრამაში ჩართულია 22 აფილირებული და მოწვეული პერსონალი, რომელთაგანაც 18 ფლობს დოქტორის, ხოლო 4 - მაგისტრის ხარისხს. ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამა პასუხობს შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმს, რომელიც ეხება ხელმძღვანელებსა და მაგისტრანტებს შორის სამუშაო დატვირთვის ბალანსს. ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობა გონივრულია და უზრუნველყოფს ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის ეფექტურ მართვას ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმი პროგრამის მიერ დაკმაყოფილებულია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა, გასაუბრებების დროს აღნიშნა, რომ სტუდენტთა აზრით, ადამიანური რესურსები კარგად არის ორგანიზებული, რათა მაქსიმალურად უზრუნველყონ კურსების სწავლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის კუთხით. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამაში ჩართულია 3 სრული პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 2 აფილირებული პროფესორი, 6 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი).

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საჭირო კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისთვის. მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომებით, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. თუმცა, მისი პირადი ჩართულობის მოცულობა პროგრამის შეფასების, განვითარებისა და სტუდენტთა კონსულტირების პროცესში უფრო მკაფიოდ შეიძლება განისაზღვროს. პროგრამას მხარს უჭერს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესაბამისი რაოდენობა, რომელთაც აქვთ სათანადო კომპეტენციები. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან. აღნიშნული დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა მათთან გასაუბრებების დროს.

გასათვალისწინებელია, რომ ორივე პროგრამას ძირითადად ერთი და იგივე პროფესორ-მასწავლებლები ახორციელებენ, ამიტომ აქ ცალკე ანალიზი არ არის საჭირო. დეტალური ინფორმაცია ორივე პროგრამის ადამიანური რესურსების შესახებ ცალ-ცალკეა მოცემული ქვემოთმოცემულ ცხრილებში.

პროგრამა 1 (ფინანსებისსამაგისტრო პროგრამა, ინგლისურენოვანი)[11]

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[12]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[13]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	7	12	19	9
- პროფესორი	2	1	2	2
- ასოცირებული პროფესორი	4	4	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	13	-	11	-
სამეცნიერო პერსონალი	9	6	9	-

პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, ქართულენოვანი)[14]

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[15]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[16]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	15	4	11	9
- პროფესორი	2	1	3	2

[11] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[12] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[13] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[14] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[15] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[16] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	4	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი	1	0	1	1
- ასისტენტი	4	1	-	-
მოწვეული პერსონალი	8	4	5	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კონკურსის მასალები;
- პუბლიკაციების შესახებ ინფორმაცია რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ასევე შემოქმედებითი / საშემსრულებლო პროექტები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის (მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის, ასევე მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელების) დატვირთვის სქემა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის დატვირთვას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე მეტი აკადემიური პერსონალის დაქირავებას ან არსებული პერსონალის როლების კორექტირებას პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, გადაიხედოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის სამუშაო დატვირთვის განაწილება. გასათვალისწინებელია საერთო სამუშაო დატვირთვის შემცირება სწავლების და კვლევითი შედეგების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით მაღალრეიტინგულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისათვის, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დონის მოთხოვნებს და ასახავს პროგრამის სპეციფიკას. ეს მოთხოვნები ადგენს, რომ ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის ხარისხი, ფლობდეს თანამედროვე ცოდნას და აქტიურად მონაწილეობდეს სამეცნიერო კვლევებში ან გააჩნდეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.
თუმცა, არსებობს გარკვეული საკითხები ამ მოთხოვნების განხორციელებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის

ზოგად თემატიკას, დეტალური ინფორმაცია არ არის მოცემული პუბლიკაციების თანამედროვეობისა თუ ხარისხის შესახებ. ეს აჩენს კითხვებს, თუ როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი, რომ ხელმძღვანელები ფლობენ უახლეს ცოდნას ისეთ დინამიურად განვითარებად სფეროებში, როგორიცაა ფინანსები, განსაკუთრებით იმ ტექნოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით, რომლებიც ამ სექტორს გარდაქმნის.
ფინანსების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია ნაშრომის 20 ხელმძღვანელი, ხოლო ქართულენოვან პროგრამაში — 11. გაურკვეველია, არის თუ არა ეს რაოდენობა საკმარისი სათანადო ხელმძღვანელობისთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა არსებობდეს განსხვავებები ორი პროგრამის დატვირთვას შორის. თვითშეფასების ანგარიშში არ არის ნათლად წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია თანახელმძღვანელების ჩართულობაზე, მათ კვალიფიკაციაზე, და იმაზე, თუ რა პირობებში ხდება მათი ჩართულობა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ ხელმძღვანელები ირჩევიან სტუდენტთა ნაშრომების თემატიკის შესაბამისად, არ არის განმარტებული, თუ როგორ ხდება სტუდენტებისთვის შესაბამისი ხელმძღვანელების განსაზღვრა ან როგორ წყდება შესაძლო კონფლიქტები.
გასათვალისწინებელია, რომ ორივე პროგრამაში ძირითადად ჩართულები არიან ერთი და იგივე პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაგან ზოგიერთი ფოკუსირებულია ინგლისურენოვან, ხოლო ზოგიერთი ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე, ამიტომ აქ ცალკე ანალიზის საჭიროება არ დგას.

პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, ინგლისურენოვანი)[17]

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[18]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	20	20	9
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი	11	11	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	_

[17] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[18] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, ქართულენოვანი)[19]

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[20]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	11	10	6
- პროფესორი	0	0	2
- ასოცირებული პროფესორი	1	1	3
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	1
მოწვეული პერსონალი	5	5	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ მაგისტრანტების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს განხორციელებულ კვლევებს;
○ ხელმძღვანელების პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში / შემოქმედებითი პროექტები / მონოგრაფიები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო გამოცემებში;
○ გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, ხელმძღვანელების უახლესი კვლევითი საქმიანობის და გამოქვეყნებების რეგულარული შეფასების და დოკუმენტირების მიზნით ჩამოყალიბდეს უფრო მკაცრი სისტემა. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ხელმძღვანელების კვლევითი შედეგების ყოველწლიურ მიმოხილვას და მათი შესაბამისობის შეფასებას ფინანსების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებთან მიმართებით.

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, განხორციელდეს ნაშრომის ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სრული ანალიზი, სტუდენტების რაოდენობის, კვლევითი თემების სირთულის და სხვა აკადემიური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული ანალიზი დაწესებულებას

[19] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[20] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

დაეხმარება ხელმძღვანელების შესაფერისი რაოდენობის და ხელმძღვანელობის მოვალეობების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☐	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჩანს, რომ იბსუ-მ დაამკვიდრა ფინანსების სამაგისტრო პროგრამებში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და მხარდაჭერის პროცესები. თუმცა, არსებობს რამდენიმე სფერო, რომლებიც საჭიროებს კრიტიკულ ანალიზსა და შესაძლო გაუმჯობესებას.

იბსუ ახორციელებს მოცემული პროგრამების პერსონალის შეფასებას, რომელიც მოიცავს:

- პედაგოგიური აქტივობების სემესტრულ შეფასებებს;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობების ყოველწლიურ შეფასებას;
- სტუდენტთა გამოკითხვებს თითოეული სემესტრის ბოლოს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეფასების მექანიზმები ადგილზეა, თვითშეფასების ანგარიშში არ არის დეტალურად წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ფართოდ ფარავს ეს შეფასებები სწავლების, კვლევისა და შემოქმედებითი აქტივობების ყველა ასპექტს, რომელიც მოთხოვნილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და აკრედიტაციის სტანდარტი 4.3-ის მიერ. ასევე, ჯგუფმა ვერ მოიპოვა კონკრეტული ინფორმაცია გასაუბრებების დროს იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება შეფასების შედეგები პერსონალის გაუმჯობესებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სისტემა მკაფიოდ განისაზღვროს.

უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს ტრენინგებსა და კონფერენციებს პერსონალის განვითარების მიზნით და უზრუნველყოფს ფინანსურ წახალისებას საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და პუბლიკაციებისათვის. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში არ არის მოცემული კონკრეტული ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- პროფესიული განვითარების აქტივობების სიხშირე და მრავალფეროვნება;
- როგორაა ეს აქტივობები მორგებული პერსონალის ინდივიდუალურ საჭიროებებზე;
- რამდენად ფართოა მონაწილეობა ამ აქტივობებში.

იბსუ სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას პუბლიკაციებისა და კონფერენციებში მონაწილეობისათვის. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია კვლევისთვის გამოყოფილი მატერიალური და ფინანსური რესურსების საკმარისობის შესახებ, ან იმ კონკრეტული ზომების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს პერსონალის ჩართვას საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში. თვითშეფასების ანგარიშში არ ჩანს ინფორმაცია პერსონალისთვის სპეციალური ტრენინგების შესახებ, ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდების ეფექტურ გამოყენებაში, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება უმაღლეს განათლებაში. იბსუ-ს ფინანსების სამაგისტრო პროგრამა აჩვენებს პერსონალის შეფასებისა და მხარდაჭერის ძლიერ მიდგომას. უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს და აანალიზებს პერსონალის შეფასებებსა და კმაყოფილების გამოკითხვებს, რომლის შედეგებიც გამოიყენება დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად და მხარდაჭერის მექანიზმების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, იბსუ უზრუნველყოფს მნიშვნელოვან რესურსებს, როგორიცაა ფინანსური მხარდაჭერა და კვლევითი ინფრასტრუქტურა, რათა ხელი შეუწყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობას კვლევის ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით ფინანსების სფეროში. ეს პრაქტიკები ხელს უწყობს პროგრამის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და ქმნის ხელსაყრელ გარემოს ფინანსების კვლევებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის შეფასებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები (რომლებიც მოიცავს კვლევისა და სწავლების ხარისხს, საერთაშორისო მობილობის მონაცემებს და სხვ.) და მათი გამოყენება პერსონალის მართვისა და განვითარების პროცესში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის კვლევები;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, შემუშავდეს უფრო ყოვლისმომცველი შეფასების სისტემა, რომელიც ერთმანეთთან მკაფიოდ დააკავშირებს შეფასების შედეგებს, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და კარიერულ განვითარებას.
- სასურველია, შემუშავდეს მკაფიო სისტემა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები პერსონალის დაწინაურებისთვის ან განვითარებისთვის.
- სასურველია, შემუშავდეს სტრუქტურირებული ტრენინგ პროგრამა პერსონალისთვის ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უნარები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება უმაღლეს განათლებაში.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის დროს, ჯგუფის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ უნივერსიტეტის კამპუსს. შეფასების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ იბსუ-მ შეიმუშავა ინფრასტრუქტურა თავისი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად: საკლასო ოთახებით, კომპიუტერული ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით და საგამოცდო ცენტრით.

იბსუ-ს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების (ქართულ და ინგლისურ ენებზე) სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი აღჭურვილობით: სასწავლო მერხებით, დაფებით, მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებითა და პროექტორებით.

სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს წვდომა აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და ინტერნეტთან დაკავშირებულ კომპიუტერული აღჭურვილობაზე, ასევე შესაბამის პროგრამულ უზრუველყოფაზე რომელთა გამოყენება/სწავლება გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს უფასო უსადენო ინტერნეტი (WiFi).

საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა დანერგა ელექტრონული სერვისების სისტემა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია და ხდება მათი აკადემიური მიღწევების მონიტორინგი. ეს არის სტუდენტებს, ადმინისტრაციას და პროფესორებს შორის კომუნიკაციის გამარტივებული ოფიციალური საშუალება. აღნიშნული შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო პორტალი იძლევა ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების, საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მიღების საშუალებას.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც პროგრამით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურაა განთავსებული, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, პრინტერი და ასლის მანქანა). ბიბლიოთეკაში მდებარეობს საგანგებოდ აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, რომელიც უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალით. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს და პერსონალს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერებით, ინტერნეტით, საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებით, ასევე პრინტერითა და ასლის მანქანებით. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის საძიებო სისტემა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://ibsu.edu.ge/ge/home-library/).

სტუდენტებს და პერსონალს წვდომა აქვთ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა EBSCO, Scopus, Elsevier ScienceDirect, Funding Institutional და სხვ. ასევე ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული რესურსები: Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, Edward Elgar Publishing Journals, European Respiratory Journal, IMechE Journals, Open Book Publishers E-books, Royal Society Journals Collection, SAGE Journals და სხვ. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისა და ბიბლიოთეკის სხვა რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ. https://ibsu.edu.ge/ge/library-page/scientific-bases/.

ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღის განმავლობაში: ორშაბათი-პარასკევი - 09:00-20:00, შაბათი - 10:00-18:00. ბიბლიოთეკის გამოყენების წესები განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე, ასევე ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)

ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი აღჭურვილობით: სასწავლო მერხები, დაფები, მაგიდები, სკამები და სხვა აღჭურვილობა (მათ შორის პროექტორები). სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს აქვთ წვდომა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და კომპიუტერულ აღჭურვილობაზე, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით და დაკავშირებულია ინტერნეტთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, პრინტერი და ასლის მანქანა).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)

ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი აღჭურვილობით: სასწავლო მერხები, დაფები, მაგიდები, სკამები და სხვა აღჭურვილობა (მათ შორის პროექტორები). სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს აქვთ წვდომა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და კომპიუტერულ აღჭურვილობაზე, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით და დაკავშირებულია ინტერნეტთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, პრინტერი და ასლის მანქანა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერისტეტი კამპუსი (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, 13-ე კმ, #2, 0131).
- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალირება ვიზიტისას.
- იბსუ-ს ოფიციალური ვებსაიტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების ბიუჯეტები უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებას, პროგრამების მატერიალური და ტექნიკური ბაზის გამართულობის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებას, სხვადასხვა ლიტერატურის შეძენას, პროგრამების განვითარებისა და ადმინისტრირების ხარჯების დაფარვას და სხვა ხარჯების უზრუნველყოფას. პროგრამების ბიუჯეტის შევსების მთავარი წყარო არის სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის, მივლინებების, სამეცნიერო კვლევების, პუბლიკაციების და სხვა ხარჯები დაფარულია იბსუ-ს ბიუჯეტიდან. პროგრამების ბიუჯეტები ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ მდგრადობას და ამასთანავე ასახავს საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერას უნივერსიტეტის მთლიანი შემოსავლებიდან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების ალოკაცია ეკონომიკურად განხორციელებადია და ძირითადად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი: პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 9,000 ლარს (4,500 ლარი წელიწადში). მიღების კვოტა განისაზღვრება 20 ადგილით/სტუდენტით, შესაბამისად, მოსალოდნელი შემოსავალი შეადგენს 180,000 ლარს. ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად: სწავლების ხარჯი – 128,826.53 ლარი, პროგრამის მომზადება, აკრედიტაცია – კვლევისა და

განვითარების ხარჯი – 11,718.00 ლარი, პროგრამის ადმინისტრირება – 16,065.00 ლარი, ლიტერატურის ხარჯი – 4,725.00 ლარი და სხვა ხარჯები – 8,066.73 ლარი. ჯამური ხარჯი შეადგენს 169,401.26 ლარს, ხოლო პროგრამის მოგება არის 10,598.74 ლარი.

პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტში წარმოდგენილია შემოსავლის მხოლოდ ერთი წყარო – შემოსავალი სწავლის საფასურიდან. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებისა და პროფესორების ნაშრომების პუბლიკაციისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის და დაფარულია უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია და ძირითადად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი: პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 9,000 ლარს (4,500 ლარი წელიწადში). მიღების კვოტა განისაზღვრება 20 ადგილით/სტუდენტით, შესაბამისად, მოსალოდნელი შემოსავალი შეადგენს 180,000 ლარს. ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად: სწავლების ხარჯი – 128,826.53 ლარი, პროგრამის მომზადება, აკრედიტაცია – კვლევისა და განვითარების ხარჯი – 11,718.00 ლარი, პროგრამის ადმინისტრირება – 16,065.00 ლარი, ლიტერატურის ხარჯი – 4,725.00 ლარი და სხვა ხარჯები – 8,066.73 ლარი. ჯამური ხარჯი შეადგენს 169,401.26 ლარს, ხოლო პროგრამის მოგება არის 10,598.74 ლარი.

პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტში წარმოდგენილია შემოსავლის მხოლოდ ერთი წყარო – შემოსავალი სწავლის საფასურიდან. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებისა და პროფესორების ნაშრომების პუბლიკაციისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის და დაფარულია უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 10 - პროგრამების ბიუჯეტები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო	☐	☒	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)				

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იბსუს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია სტრატეგიული მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების მიღწევას. აღნიშნული კონცეფცია ეყრდნობა კვლევისა და შეფასების სისტემატურ და საჭიროებებზე დაფუძნებულ პრაქტიკებს. ის მოიცავს მრავალ ინსტრუმენტს, როგორიცაა პროგრამების შიდა თვითშეფასება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, ბენჩმარკინგი, დამსაქმებლების კვლევა, თვითშეფასება და პერსონალის შეფასება, რომელიც ტარდება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ.

დოკუმენტებიდან და გასაუბრებებიდან ცხადად ჩანს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განვითარება და დამტკიცება შეესაბამება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიერ დადგენილ პროცედურას. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს პროგრამების უსაფრთხოებას და შესაბამისობას უნივერსიტეტის სტანდარტებთან, რაც აჩვენებს, რომ პროგრამები შეიქმნა და დამტკიცდა უნივერსიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

დოკუმენტებმა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა აჩვენა, რომ პროგრამებში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. აღნიშნული ხაზს უსვამს პროგრამის ხარისხის შეფასების და თვითშეფასების ანგარიშის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრის მნიშვნელობას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, თვითშეფასების ჯგუფი სრულად არ ფლობდა ინფორმაციას თვითშეფასებისა და თვითანალიზის პროცესის სიღრმისეულ საკითხებზე. ასევე, შიდა ხარისხის შეფასების ანგარიშებსა და თვითშეფასების პროცესის ტექსტს შორის ინტეგრაციის ნაკლებობა ფიქსირდება, სადაც აღნიშნული საკითხები არ გვხვდება.

გასაუბრებების დროს გამოჩნდა, რომ თვითშეფასების შეხვედრების დროს განიხილებოდა შემდეგი საკითხები და განხორციელდა აუცილებელი ქმედებები: სასწავლო კურსების განახლება, პროგრამის კომპეტენციებისა და სასწავლო რუკების შემუშავება, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების

სისტემის შექმნა და სხვა. თუმცა, ყველა წევრი არ იყო ინფორმირებული პროცესის შესახებ, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაში პრობლემად დასახელდა. პროცესს აკლდა ინკლუზიურობა.

თვითშეფასების ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გუნდის წევრებისგან, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შეფასების პროცესში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩნა, რომ საჭიროა მეტი პირდაპირი წვლილი სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მხრიდან. ეს ინკლუზიური მიდგომა თვითშეფასების პროცესში, გამოკითხვების მიღმა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხის ყოვლისმომცველი და უწყვეტი შეფასებისთვის.

გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყვეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და კონსულტაციები. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მაგალითები და პრაქტიკები მიუთითებს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის პრინციპზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევების შესამცირებლად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრებები ვიზიტისას.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია თვითშეფასების პროცესის რეალური ფუნქციონირების და ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები პირდაპირ იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც თვითშეფასების ჯგუფის წევრები.
- სასურველია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, თვითშეფსების ანგარიშში გაანალიზებული და განხილული იყოს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ანგარიშები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხაზს უსვამს გარე შეფასების მნიშვნელობას PDCA ციკლში. ადგილზე ვიზიტისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფინანსების სამაგისტრო პროგრამებისთვის ჩატარებულია ორი გარე შეფასება. პირველი შეფასება განხორციელდა ადგილობრივი დამსაქმებლის, GEC Consulting-ის წარმომადგენლის, გიორგი სიმონგულიშვილის მიერ. მეორე შეფასება ჩატარდა ვალდოსტას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების პროფესორის, დოქტორ ელვან აქთაშის მიერ.

პირველი შეფასება უფრო მხარდამჭერი წერილის ხასიათს ატარებს, ვიდრე სრულფასოვანი გარე შეფასებისა. ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო შეფასება მოიცავს რეკომენდაციებს შემდეგი კურსებისთვის: პორტფოლიოს მართვა, კორპორატიული მმართველობა და სოციალური პასუხისმგებლობის მართვა, კორპორატიული შეფასება და ფინანსური ანალიზი. მიუხედავად იმისა,

რომ ამ საკითხებზე პროგრამების ხელმძღვანელებთან ადგილზე ვიზიტის დროსაც იყო მსჯელობა, სასურველია არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც ასახავს, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ან ინტეგრირებული გარე შეფასებები თვითშეფასების ანგარიშში, რაც ამჟამად არ გვხვდება.

იბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროაქტიული ნაბიჯი გადადგა და შეიმუშავა კონკრეტული ფორმა გარე შეფასებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფორმის შექმნა თავისთავად არ უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სწორად განხორციელებას. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ იბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი აქტიურად მონაწილეობდეს გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, რათა უზრუნველყოს მისი გამჭვირვალობა და სიღრმისეულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასების შედეგები;
- განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფის გამჭვირვალე, ეფექტური და ყოვლისმომცველი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდეს პროცესში, მათ შორის გარე შეფასების შედეგებზე დაფუძნებული დოკუმენტის მომზადებაში.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იბსუ იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისთვის, სპეციფიკური მიდგომით. ამ შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისთვის. პროცესში მონაწილეობენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორები, რომლებიც მონაწილეობენ კოლეგიალური შეფასების პროცესში. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესი სისტემატურია და ეყრდნობა სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდოლოგიისა და მონაცემთა დაგროვების პრაქტიკის ნაზავს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დასკვნების და რეკომენდაციების ფორმულირებას.

იბსუ-ს შიდა რეგულაციები აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განსაზღვრავს თვითშეფასების პროცესს. აღნიშნული პროცესი ხორციელდება, მოწმდება და ფასდება შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც ასახავს უნივერსიტეტის ერთგულებას ხარისხის შიდა კონტროლის მიმართ. საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ფასდება, ხოლო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილება მოწმდება ონლაინ გამოკითხვებისა და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით. სტუდენტები ასევე აფასებენ კონკრეტულ კურსებს ყოველი კურსის დასრულებისას, რაც დადასტურდა ვიზიტების დროს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებით. იგივე დაკვირვება შეინიშნება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს. უფრო მეტიც, ფინანსების სამაგისტრო პროგრამა ხშირად შედარებულია უცხოეთის უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ერთგულებას საუკეთესო გლობალური პრაქტიკების მიმართ.

შესაბამისად, კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები იბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის კონცეფციის მიხედვით ფასდება მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეკომენდაციების ფორმულირების ეფექტურობაზე და, საჭიროებისამებრ, მოდიფიცირდება და უმჯობესდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები;
- აკადემიური კურსის/საგნის შესაფასებლად ჩატარებული აქტივობები და განხორციელებული ცვლილებები;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

"ფინანასების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
"ფინანსების" სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი)

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან

ხელმოწერები:
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
მ აბდული რაუფ (თავმჯდომარე)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
თეა კასრაძე (სფეროს ექსპერტი)



თამარ კბილაძე (სფეროს ექსპერტი)

სანდრო ტაბატაძე (განათლების ექსპერტი)



თამარ ხუციშვილი (სტუდენტი ექსპერტი).